



დაზღვევა

სიცოცხლე და კრიტიკული დაავადებები

შინაარსი

დაფარვა	3
საერთო პირობები	4
გამონაკლისები	4
პრემია	5
ანგარიშსწორების ვალუტა	5
თანამშრომლობა	5
ხელშეკრულების შეწყვეტა	6
არაკეთილსინდისიერი ქმედება	7
დავების გადაწყვეტა	7
შეტყობინებები	8
სექცია 01 - სიცოცხლე - სპეციალური პირობები	8
მოცდის პერიოდი	8
საბუთები შემთხვევის დადგომისას	8
ლიმიტოს გაცემის წესი	9
სექცია 02 - კრიტიკული დაავადებები - სპეციალური პირობები	9
მოცდის პერიოდი	9
საბუთები შემთხვევის დადგომისას	9
ლიმიტის გაცემის წესი	10
ბავშვის დაფარვა	10
სექცია 03 - კომბინირებული - სპეციალური პირობები	11
ლიმიტის გაცემის წესი	11
პრემიის გადახდის წესი	12
კრიტიკული დაავადებების პირობები	12
კიბო	12
მიოკარდიუმის ინფაქტი	13
ინსულტი	14
ალცჰაიმერის დაავადება	14
აორტის დაავადებების ქირურგიული მკურნალობა	15
გულის სარქველის ტრანსპლანტაცია	15
ბაქტერიული მენინგიტი	16
პარკინსონის დაავადება	16
მძიმე დამწვრობა	17
თავის ტვინის ტრავმული დაზიანება	17
თირკმლის უკმარისობა	17
სასიცოცხლო ორგანოების ტრანსპლანტაცია	18
ენცეფალიტი	19
პოლიომელიტი	19
სრული მუდმივი შრომისუნარობა	20
კომა (ასოცირებული პერმანენტული სიმპტომებით)	20

ტიპები

ეს პირობები, პოლისის პერსონალურ პირობებთან და განაცხადთან ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებას. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ აქ მოცემულ პირობებს. მიუხედავად **ჩვენ მიერ წარმოდგენილი** დეტალური განმარტებისა, თუ რომელიმე პირობა **თქვენთვის** კვლავ ბუნდოვანი, ორწაროვანი ან გაუგებარია, მზად ვართ ამომწურავი განმარტებები მოგაწოდოთ. გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი სიტყვა და დაზღვევისთვის სახასიათო ტერმინი გამუქებულია და ახსნილია შესაბამის სექციაში.

ერთი მხრივ, **ჩვენ** (მზღვეველი, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“) და, მეორე მხრივ, **თქვენ** (დამზღვევი), ვთანხმდებით, რომ **თქვენ** მიერ **პრემიის** გადახდის სანაცვლოდ **ჩვენ** ვფარავთ **პოლისის პერიოდის** განმავლობაში მომხდარ შემთხვევას (აქ მოცემული პირობების და გამონაკლისების გათვალისწინებით). კერძოდ, იმის მიხედვით, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი სამი პროდუქტიდან რომელი გაქვთ არჩეული:

1**სიცოცხლე**

დაფარულია თქვენი სიცოცხლე.

2**კრიტიკული დაავადებები**

დაფარულია **თქვენი** კრიტიკული მდგომარეობის გამომწვევი დაავადება, რომლის პირველადი დიაგნოზი დაისვა ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში.

3**კომბინირებული**

დაფარულია **თქვენი** სიცოცხლე და კრიტიკული დაავადებები..

გთხოვთ, დაკვირვებით გაეცნოთ პირობებს, რომლებიც საერთოა ყველა სექციისთვის. აქვე, გაითვალისწინეთ, რომ იმის მიხედვით, თუ რომელი პროდუქტის ტიპი გაქვთ არჩეული - **01, 02** თუ **03** - შესაბამისი სექციის სპეციალური პირობებიც გეხებათ.

ამასთან, თუ **თქვენ** შეძენილი გაქვთ კრიტიკული დაავადებების დაზღვევა, ასევე, დაკვირვებით გაეცანით კრიტიკული დაავადებების პირობებს, რომლებიც ამ ხელშეკრულების ბოლო პუნქტადაა მოცემული.

საერთო პირობები

გამონაკლისები

სადაზღვევო ლიმიტი არ გაიცემა ისეთ შემთხვევაზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გამონაკლისია:

- **თქვენ** მიერ მოხმარებული ნარკოტიკით, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებებით.
- ჭარბი (სისხლში 0,3 პრომილეზე მეტი ეთანოლი) ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას, თავის საფრთხეში ჩაგდებით.
- თვითმკვლელობით, მისი მცდელობით ან თვითდაზიანებით.
- **თქვენი** საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდებით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **თქვენი** ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად).
- **თქვენი** სიცოცხლის ხელყოფით, მისი მცდელობით ან სხეულის/ჯამრთელობის დაზიანებით **თქვენი** მემკვიდრის (იგულისხმება ხუთივე რიგის მემკვიდრე) ან ამ დაზღვევით მოსარგებლე პირის მიერ.
- **თქვენ** მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით ან მისი მცდელობით.
- **თქვენი** იმუნოდეფიციტის ვირუსით (HIV) ან შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომით (AIDS).
- ომით; სამოქალაქო არეულობა/მლელვარებით; აჯანყებით; გაფიცვით; ტერორიზმით.
- **თქვენი** მონაწილეობით საგანგებო სიტუაციების მართვისთვის გამოყენებული სხვადასხვა სამსახურის (მაგ.: სახანძრო-სამაშველო სამსახური, სამხედრო, საპოლიციო, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები) მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.
- **თქვენი** მონაწილეობით მინისქვეშა სამუშაოებში.
- **თქვენი** მონაწილეობით ნებისმიერი სახის სარისკო შეჯიბრში ან სპორტის ისეთ სახეობაში, როგორცაა: კრიკი ან სხვა საბრძოლო სახეობები, კლდეზე ცოცვა, სპალეოლოგია, ალპინიზმი, ჯირითი, აკვალანგით ყვინთვა, პარაშუტით ან დელტაპლანით ხტომა, რალი, გაუკვალავ თოვლში სრიალი, თოვლის ბურანით, ძრავიანი ნავით, კატერით ან სკუტერით შეჯიბრი.
- ისეთი დაავადებით ან სამედიცინო პრობლემით ან მათი გართულებით/პროგრესირებით,

რომელიც დაზღვევის მომენტში ცნობილი იყო **თქვენთვის** (ან უნდა ყოფილიყო ცნობილი) და არ გაგვაფრთხილეთ.

- **თქვენ** მიერ არაგონივრული თავის არიდებით სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვას ან ექიმის მოთხოვნის შესრულებაზე.

პრემია

პრემიას იხდით პოლისის პერსონალურ პირობებში მითითებული გრაფიკის შესაბამისად. **პრემიის** დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას, პერსონალურ პირობებში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გამოგეგზავნებათ მოკლე ტექსტური შეტყობინება ხელშეკრულების ნომრის, **პრემიის** ოდენობისა და გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადის თარიღის მითითებით, რომლის შემდეგაც მომხდარ შემთხვევებზე **სადაზღვევო ლიმიტი** არ გაიცემა. **პრემიის** დროულად გადაუხდელობა უფლებას გვაძლევს ერთი თვით ადრე გაგაფრთხილოთ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

ამასთან, მოკლე ტექსტური შეტყობინების გამოგზავნა **ჩვენ** მიერ არ არის აუცილებელი, თუ პირველი ან ერთჯერადი **პრემია** გადაუხდელია. ასეთ შემთხვევაში, პოლისის პერსონალური პირობები ექვემდებარება ავტომატურ შეწყვეტას გადახდის დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

ანგარიშსწორების ვალუტა

მიუხედავად პოლისის პერსონალურ პირობებში მითითებული ვალუტისა, გადახდა წარმოებს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

თანამშრომლობა

თქვენ (ან თქვენი მემკვიდრე) ვალდებული ხართ, მოგვანიჭოთ უფლებამოსილება **ჩვენ** მიერ დადგენილი ფორმით შესაბამისი დაწესებულებიდან **თქვენი** პერსონალური - მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის - მონაცემების გამოთხოვნის/დამუშავების თაობაზე. ასევე, **ჩვენ** უფლება გვაქვს **ჩვენ** მიერ უფლებამოსილი ექიმის/ექსპერტის/დაწესებულების მიერ ჩაგითაროთ გამოკვლევა (ასევე, გვამის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნის), ან მოვითხოვოთ ალტერნატიული სამედიცინო ექსპერტიზა (დიაგნოზის გადამოწმების ჩათვლით).

ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება კანონით გათვალისწინებულ ან/და შემდეგ შემთხვევებში: მხარეების სურვილით (30 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით), **პრემიის** გადაუხდელობის შემთხვევაში ან არაკეთილსინდისიერი ქმედების საფუძველზე.
2. დამზღვევი უფლებამოსილია, ყოველგვარი საფუძვლის მითითების, ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის გარეშე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე; სიცოცხლისა და კრიტიკული დაავადებების დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში – მისი დადებიდან 30 დღის ვადაში.
 - 2.1. დამზღვევი არ არის უფლებამოსილი, წინამდებარე პირობების მე-2 პუნქტის საფუძველზე უარი თქვას ხელშეკრულებაზე და შესაბამისად ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:
 - ა) სადაზღვევო ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;
 - ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, რომლის მოქმედების ვადა უარის თქმის უფლების პერიოდზე ნაკლებია;
 - გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;
 - დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;
 - ე) თუ დამზღვევმა/მოსარგებლემ/დაზღვეულმა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.
3. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები:
 - 3.1. დაზღვევის პირობების მე-2 პუნქტის საფუძველზე, დამზღვევის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეების მიერ სიცოცხლისა და კრიტიკული დაავადებების დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ის, რაც მხარეებმა მისი შესრულებით მიიღეს, მათ უბრუნდებათ.
 - 3.2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია:

ა) დამზღვევეს გადახდილი პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნოს სრულად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში. მზღვეველი ვალდებული არ არის, დამზღვევეს დაუბრუნოს იმ დამატებითი ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა, რომელიც დაკავშირებულია დამზღვევის მიერ არასტანდარტული ან მზღვეველის მიერ შეთავაზებული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურების არჩევასთან;

ბ) თანხა აანაზღაუროს გადახდის იმავე საშუალებებით, რომელიც დამზღვევემა გამოიყენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამზღვევი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს და მას დამატებითი ხარჯი არ წარმოეშობა.

არაკეთილსინდისიერი ქმედება

ჩვენ უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ლიმიტის გაცემაზე, თუ **თქვენ** (ან თქვენმა წარმომადგენელმა):

- **თქვენი** გარდაცვალების ან კრიტიკული დაავადების დიაგნოზის გაგებიდან 72 საათში (ან, დასაბუთებული მიზეზების გამო როცა შეუძლებელია შეტყობინების გაკეთება, დაუყოვნებლივ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მოგეცათ) ლიმიტის მოთხოვნა არ წავიყენეთ;
- წარმოადგინეთ არაზუსტი/ყალბი ინფორმაცია, საბუთი ან ცნობა განაცხადში ან ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე;
- არ ითანამშრომლეთ ჩვენთან სადაზღვევო ლიმიტის მოთხოვნის რეგულირების პროცესში (მათ შორის, არ შეასრულეთ ჩვენი მითითებები).

დავების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, მისი ურთიერთშეთანხმებით/მორიგებით დასრულების მიზნით მხარეები მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ მედიატორს სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2555155, ან მისამართზე: თბილისი მოსაშვილის ქუჩა 24, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ საწევრო შემოსავლებიდან. მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში დავები გადაწყდება სასამართლო წესით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შეტყობინებები

ჩვენ შორის შეტყობინების გაგზავნა შესაძლებელია წერილობით, მოკლე ტექსტური ან ელექტრონული შეტყობინების გზით პერსონალურ პირობებში მითითებულ საკონტაქტო მონაცემების მიხედვით. საკონტაქტო მონაცემების ცვლილებების შემთხვევაში ვალდებული ხართ შეგვატყობინოთ ამის შესახებ. ცვლილების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოუწოდებლობის შემთხვევაში - **ჩვენ** მიერ გამოგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება თქვენ მიერ მიღებულიად.

სექცია 01 - სიცოცხლე სპეციალური პირობები

მოცდის პერიოდი

ამ ხელშეკრულების ამოქმედების თარიღიდან გარდაცვალების რისკის დაფარვაზე მოქმედებს 90-დღიანი **მოცდის პერიოდი**, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში დამდგარ შემთხვევაზე **სადაზღვევო ლიმიტი** არ გაიცემა. **მოცდის პერიოდი** არ ვრცელდება უბედური შემთხვევის შედეგად დამდგარ შემთხვევებზე.

საბუთები შემთხვევის დადგომისას

უფლებამოსილი პირი ვალდებულია, წარმოგვიდგინოს მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებული შემდეგი დოკუმენტაცია:

- გარდაცვალების მოწმობა (რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარდაცვალების თარიღი, ადგილი, დაბადების თარიღი და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ინფორმაცია);
- სამედიცინო ცნობა გარდაცვალების შესახებ, ფორმა 106 (რომელშიც სავალდებულო წესით უნდა იყოს მითითებული გარდაცვალების უტყუარად დადგენილი, კონკრეტული მიზეზი); ამასთან, თუ ასეთი ცნობა წარმოდგენილი არ არის ან მასში მითითებული არ არის გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი (ან მითითებულია დაუზუსტებელი მიზეზი), \ უნდა წარგვედგინოს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზების შესახებ.
- შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა მომხდარის შესახებ; თუ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე - მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები);

- მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- თუ პერსონალურ პირობებში მოსარგებლე არ არის მითითებული, მემკვიდრის სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში.

ჩვენ უფლებამოსილი ვართ, მოვითხოვოთ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადგენს თქვენი გარდაცვალების კონკრეტულ მიზეზს;

კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ უფლებამოსილი ვართ, მოვითხოვოთ შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია.

ლიმიტის გაცემის წესი

გარდაცვალების შემთხვევაში **სადაზღვევო ლიმიტი** პერსონალურ პირობებში მითითებულ მოსარგებლეზე გაიცემა სრულად, რის საფუძველზეც წინამდებარე დაზღვევა წყდება.

ლიმიტი გაიცემა ლარში ყველა ზემოხსენებული საბუთების მიღებიდან, დაფარული შემთხვევის დადასტურების და შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

სექცია 02 - კრიტიკული დაავადებები სპეციალური პირობები

მოცდის პერიოდი

ამ ხელშეკრულების ამოქმედების თარიღიდან, თითოეული კრიტიკული დაავადების მიხედვით, განსაზღვრულია **მოცდის პერიოდი**, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში დამდგარ შემთხვევაზე **ლიმიტი** არ გაიცემა.

საბუთები შემთხვევის დადგომისას

ცალკეული კრიტიკული დაავადებისთვის განწერილია წარმოსადგენი საბუთების ნუსხა კრიტიკული დაავადების სადაზღვევო პირობებში. ზოგადად კი, თქვენ ვალდებული ხართ, წარმოგვიდგინოთ შემდეგი დაავადებების:

1. მოულოდნელი, თვალსაჩინო გარეგანი ზემოქმედების შედეგად დამდგარი შემთხვევა (იქნება ეს სხეულის დაზიანება თუ გარდაცვალება).

- **თქვენი** (ან იმ შემთხვევაში, თუ თქვენ კონტაქტში ვერ შედიხართ - **თქვენი** კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება სადაზღვევო **ლიმიტის** მოთხოვნაზე.
- **თქვენი** პირადობის მოწმობა
- ჩატარებული მომსახურების დეტალური სამედიცინო დოკუმენტაცია (მათ შორის, უფლებამოსილი პირის/ექიმის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული: დიაგნოზი, აღნიშნულება და ჩატარებული კვლევის დასკვნა, დამადასტურებელი ცნობა (ფორმა 100));

კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ, მოვითხოვოთ შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია.

ლიმიტის გაცემის წესი

კრიტიკული დაავადების დიაგნოზის შემთხვევაში **სადაზღვევო ლიმიტი** გაიცემა კრიტიკული დაავადებების პირობების შესაბამისად სრულად, რის საფუძველზეც კრიტიკული დაავადებების დაზღვევა წყდება. თითოეული კრიტიკული დაავადების მიხედვით, მოქმედებს **გადარჩენის პერიოდი**, რომელიც განისაზღვრება 0-დან 30 დღემდე (იხ. კრიტიკული დაავადებების პირობები) და იწყება იმ თარიღიდან, როდესაც დაისვა კრიტიკული დაავადების პირველი დიაგნოზი. ამ პერიოდის განმავლობაში თქვენი გარდაცვალების შემთხვევაში კრიტიკული დაავადებების **სადაზღვევო ლიმიტი** არ გაიცემა. აღნიშნული **ლიმიტი** ასევე არ გაიცემა ისეთ შემთხვევაში, როცა ის მოთხოვნილია მემკვიდრის მიერ **თქვენი** გარდაცვალების შემდგომ.

ლიმიტი გაიცემა ლარში კრიტიკული დაავადებების პირობებში აღნიშნული საბუთების მიღებიდან და შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

ბავშვის დაფარვა

თქვენი კრიტიკული დაავადებების დაფარვა ითვალისწინებს **თქვენ** მიერ განაცხადში მითითებულ 30 დღიდან - 18 წლამდე ასაკის შვილ(ებ)ის კრიტიკული დაავადებების (რომლის პირველადი დიაგნოზი დაისვა ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში) დაფარვას. **თქვენს** შვილებზე იმავე წესით ვრცელდება: **საერთო პირობებით და კრიტიკული დაავადებები სპეციალური პირობებით** გათვალისწინებული დათქმები და გამონაკლისები, როგორც **თქვენზე**. ამასთან, ბავშვის დაფარვაზე ვრცელდება დამატებითი პირობები, კერძოდ:

სადაზღვევო ლიმიტი არ გაიცემა ისეთ შემთხვევაზე, როცა:

- კრიტიკული დაავადება გამოვლენილია დაბადებისთანავე
- სიმპტომ(ებ)ი ან დაავადება, რომელიც შეიძლება გამხდარიყო კრიტიკული დაავადების გამომწვევი მიზეზი, არსებობდა **პოლისის მოქმედების/სადაზღვევო პერიოდის**

დანყებამდე

- **თქვენზე** ან ნებისმიერ ორ შვილზე გაცემულია **სადაზღვევო ლიმიტი** (**ლიმიტის** გაცემა ასევე არ ხდება ერთიდაიგივე შვილზე ორჯერ).

თქვენი შვილის კრიტიკული მდგომარეობის დიაგნოზის შემთხვევაში **კრიტიკული დაავადებების სადაზღვევო ლიმიტის** 50% გაცემა, მაგრამ არაუმეტეს 30 000 (ოცდაათი ათასისა) ეროვნულ, ხოლო 10 000 (ათი ათასისა) უცხოურ ვალუტაში (თუ პოლისში **ლიმიტი** უცხოურ ვალუტაშია მითითებული). ბავშვის დაფარვაზე **ლიმიტის** გაცემისას **თქვენი კრიტიკული დაავადებების ლიმიტი** უცვლელი რჩება და არ მცირდება გაცემული თანხით.

ლიმიტის გაცემა ერთ შვილზე ხდება ერთჯერადად, მიუხედავად არსებული პოლისების და შემთხვევების რაოდენობისა; როცა ბავშვის ორივე მშობელი დაფარულია/დაზღვეულია **ჩვენთან** კრიტიკულ დაავადებებზე, ამ შემთხვევაში მეტი **ლიმიტის** მქონე მშობლის **პოლისით** ხდება **ლიმიტის** 50%-ის გაცემა.

თქვენი მოთხოვნის საფუძველზე **პოლისის მოქმედების/სადაზღვევო პერიოდის** განმავლობაში შესაძლებელია არსებული ან ახალშეძენილი შვილის დამატება.

სექცია 03 - კომბინირებული სპეციალური პირობები

ლიმიტის გაცემის წესი

სადაზღვევო ლიმიტი დამოკიდებულია შემთხვევათა თანმიმდევრობაზე. კრიტიკული დაავადების დიაგნოზის შემთხვევაში **სადაზღვევო ლიმიტის** ის ნაწილი გაცემა, რაც განსაზღვრულია ჩვენი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე და მითითებულია პერსონალურ პირობებში, დარჩენილი **ლიმიტი** კი გაცემა გარდაცვალების შემთხვევისას. კრიტიკული დაავადების დიაგნოზის გარეშე გარდაცვალების შემთხვევაში - **სადაზღვევო ლიმიტი** პერსონალურ პირობებში მითითებულ მოსარგებლეზე გაცემა სრულად, რის საფუძველზეც სიცოცხლის და კრიტიკული დაავადებების დაზღვევა წყდება.

ლიმიტი გაცემა შესაბამისი სექციის (გარდაცვალების შემთხვევაში: სექცია - 01; ხოლო კრიტიკული დაავადებების შემთხვევაში: სექცია - 02) სპეციალური პირობებით გათვალისწინებული მოცდის პერიოდის, საბუთების და **ლიმიტის** გაცემის წესის შესაბამისად.

პრემიის გადახდის წესი

კრიტიკულ დაავადებებზე განსაზღვრული **ლიმიტის** გაცემის შემთხვევაში, **პრემიის** გადახდაზე ვრცელდება 3 (სამ) თვიანი საშელავათო პერიოდი, რომლის ათვლაც იწყება აღნიშნული

ლიმიტის გაცემის თარიღიდან. აღნიშნული 3 (სამ) თვიანი საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ, **პრემიის** გადახდა უნდა მოხდეს პოლისის პერსონალურ პირობებში მითითებული გრაფიკის და ოდენობის შესაბამისად.

კრიტიკული დაავადებების პირობები

დაავადებათა და ქირურგიული პროცედურების ჩამონათვალი, რომელიც კრიტიკული დაავადებების სადაზღვევო დაფარვას ექვემდებარება:

1 კიბო

ერთი ან მეტი ავთვისებიანი სიმსივნის არსებობა, მათ შორის:

- ლეიკემია
- ლიმფომა
- ჰოჯკინის დაავადება

მახასიათებელი:

- უკონტროლო ზრდა
- ჯანმრთელ ქსოვილებში შეჭრა

დაფარვას არ ექვემდებარება:

- სიმსივნები, რომლებსაც აღენიშნება ავთვისებიანი ცვლილებები, თუმცა არ გააჩნია ინვაზიური ზრდის უნარი (პრეინვაზიური კიბო, ინტრაეპითელური კიბო) (მათ შორის. საშვილოსნოს ყელის 1,2,3 ხარისხის დისპლაზია) ან ჰისტოლოგიურად დახასიათებული, როგორც კიბოსწინა მდგომარეობა.
- ყველა ტიპის ჰიპერკერატოზი
- კაპოშის სარკომა და სიმსივნეთა სხვა ტიპები, რომლებიც აივ-ინფექციას ან შიდსს უკავშირდება.

- ყველა სიმსივნური დაავადება, რომლებიც ჰისტოლოგიურად ხასიათდება როგორც კეთილთვისებიანი
- ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია.

მოცდის პერიოდი: 6 თვე

გადარჩენის პერიოდი: 14 დღე

გადანყვეტილება **ლიმფიტის** გაცემის თაობაზე მიიღება ონკოლოგის სამედიცინო დასკვნის და ჰისტოლოგიური და მორფოლოგიური კვლევის შედეგების საფუძველზე.

2 მიოკარდიუმის ინფარქტი

გულის კუნთის მწვავე ნეკროზი კორონალური სისხლის მიმოქცევის სრული ან ნაწილობრივი მოშლის გამო. დიაგნოზი უნდა იყოს დადასტურებული სამივე ქვემოთითებული სიმპტომის არსებობით:

- ხანგრძლივი, ინტენსიური, სახასიათო ტკივილი გულმკერდის არეში
- ახალად გამოხატული ცვლილებები ელექტროკარდიოგრამაში, როგორებიცაა:
 - ST-ს ცვლილებები და T სახასიათო დინამიკებით
 - პათოლოგიური Q
- კარდიოსპეციფიკური ენზიმების მომატებული აქტივობა სისხლში.

დიაგნოზი და სამედიცინო დაკვირვების მონაცემები დადასტურებული უნდა იქნეს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ (კარდიოლოგი). დაფარვას არ ექვემდებარება: მიოკარდიუმის ინფარქტი ST-ს ცვლილებების გარეშე და გაზრდილი I ან T ტროპონინით სისხლში, სხვა მწვავე კორონალური სინდრომები (მათ შორის, სტაბილური/არასტაბილური სტენოკარდია).

გამონაკლისები:

- უსიმპტომო მიოკარდიუმის ინფარქტი.

მოცდის პერიოდი: 6 თვე

გადარჩენის პერიოდი: 14 დღე

3**ინსულტი**

ნებისმიერი ცერებროვასკულარული ცვლილებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პერმანენტული ნევროლოგიური სიმპტომები და თავის ტვინის ქსოვილის ნეკროზი, სისხლჩაქცევა ან ემბოლია. დიაგნოზი დადასტურებული უნდა იყოს ტიპური კლინიკური სიმპტომებით და თავის ტვინის კომპიუტერული ან მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის მონაცემებით. შესაბამისი ნევროლოგიური სიმპტომების ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 3 თვისა.

გამონაკლისები:

- ნევროლოგიური სიმპტომები, შაკიკი
- ტრავმით გამოწვეული ცერებრალური დარღვევები
- სისხლძარღვების დაავადებები, რომლებიც აზიანებს თვალს ან ოპტიკურ ნერვს
- გარდამავალი იშემიური შეტევები, 24 საათზე ნაკლები ხანგრძლივობის
- ვერტებრო-ბაზილარული იშემიური შეტევები
- ლაკუნარული ინსულტი ნევროლოგიური სიმპტომების გარეშე.

მოცდის პერიოდი: 6 თვე**გადარჩენის პერიოდი: 14 დღე****4****ალცჰაიმერის დაავადება - რაც იწვევს პერმანენტულ სიმპტომებს**

ნევროლოგის, ფსიქიატრის, გერიატრის მიერ დასმული ალცჰაიმერის დაავადების ზუსტი დიაგნოზი.

დაავადების შედეგად უნდა ვლინდებოდეს კლინიკურად დამტკიცებული შემდეგი უნარების სამუდამო დაკარგვა:

- მეხსიერება
- აზროვნება
- აღქმა (აგნოზია), გაგება, გამოხატვა და იღებთან ადეკვატური კომუნიკაციის უნარი. დაფარვას არ ექვემდებარება:

- დემენციის სხვა სახეები.

მოცდის პერიოდი: 6 თვე

გადარჩენის პერიოდი: არ ვრცელდება.

5

აორტის დაავადებების ქირურგიული მკურნალობა

სპეციალისტის მიერ დადასტურებული ქირურგიული ჩარევა აორტის ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ, აორტის დაზიანებული ქსოვილის ამოკვეთითა და ჩანაცვლებით. აორტად ამ კონკრეტულ შემთხვევისათვის განიხილება აორტის გულმკერდისა და მუცლის ნაწილი. დაფარვას არ ექვემდებარება აორტის განშტოებები.

გამონაკლისშია:

- ტრავმით გამოწვეული აორტის დაზიანება
- ნებისმიერი სხვა სახის ქირურგიული ჩარევა, მაგალითად, სტენტის ჩადგმა ან ედოვასკულარული თერაპია.

მოცდის პერიოდი: 6 თვე

გადარჩენის პერიოდი: 30 დღე.

6

გულის სარქველის ტრანსპლანტაცია

გულის ერთი ან მეტი დაავადებული სარქველის ხელოვნური სარქველ(ებ)ით ჩანაცვლება სპეციალისტის მიერ დადასტურებული ქირურგიული ჩარევის შედეგად. ეს პუნქტი გულისხმობს გულის აორტის, მიტრალური, სამკარიანი ან ფილტვის სარქველის შეცვლას ხელოვნური ანალოგებით სტენოზის / უკმარისობის ან ორივე მდგომარეობის კომბინაციის გამო.

დაფარვას არ ექვემდებარება: ვალვოტომია, ვალვოპლასტიკა და სხვა ტიპის მკურნალობა, რომელიც ჩატარდა სარქველების ტრანსპლანტაციის (შეცლის) გარეშე.

მოცდის პერიოდი: 6 თვე

გადარჩენის პერიოდი: 30 დღე.

7**ბაქტერიული მენინგიტი**

თავის და ზურგის ტვინის გარსების ბაქტერიული ანთება, რომელიც დადასტურებულია სპეციალისტის მიერ და სპეციფიური გამოკვლევების შედეგებით (სისხლი და ცერებროსპინალური სითხე, ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია CT ან მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა MRI). ამასთან, დაავადების შედეგად უნდა ვლინდებოდეს სამი ან მეტი საბაზისო საყოფაცხოვრებო ქმედების დამოუკიდებლად შესრულების განგრძობადი დაკარგვა: დაბანვა (შხაპის ან აბაზანის დამოუკიდებლად მიღების უნარი), ჩაცმა (ტანსაცმლის დამოუკიდებლად ჩაცმა/გახდა, ღილების შეკვრა ან გახსნა), პირადი ჰიგიენა (ტუალეტის გამოყენება ჰიგიენის მიღებული ხარისხის დაცვით), მობილურობა (დამოუკიდებლად სახლში ან სართულზე გადაადგილების უნარი). ასევე, გამომყოფი ფუნქციების რეგულირების დაკარგვა, შიმშილის/წყურვილის შეგრძნების დაკარგვა. აღნიშნული დაავადების შედეგი შესაძლოა იყოს ლოგინად ჩავარდნა, საწოლიდან დაუხმარებლად ადგომის შეუძლებლობა. აღნიშნული მდგომარეობა დადასტურებული უნდა იყოს მინიმუმ 3 თვის ხანგრძლივობის სამედიცინო ჩანაწერებით.

მოცდის პერიოდი: არ ვრცელდება**გადარჩენის პერიოდი: არ ვრცელდება****8****პარკინსონის დაავადება - რაც იწვევს პერმანენტულ სიმპტომებს**

ნევროლოგის ან გერიატრის მიერ დასმული პარკინსონის დაავადების ზუსტი დიაგნოზი. დაავადების შედეგად უნდა ვლინდებოდეს კლინიკურად დამტკიცებული მოტორული ფუნქციის მოშლა, რომელიც ხასიათდება ტრემორით და კუნთების რიგიდულობით. დაფარვას არ ექვემდებარება:

- პარკინსონური სინდრომები/პარკინსონიზმი.

მოცდის პერიოდი: 6 თვე**გადარჩენის პერიოდი: არ ვრცელდება**

9**მძიმე დამწვრობა**

III ხარისხის ღრმა დამწვრობა, როდესაც დამწვრობის ფართობი სხეულის ზედაპირის 20%-ს ან მეტს აღწევს. დიაგნოზი დადასტურებული უნდა იყოს სპეციალისტის მიერ და Land-Browder-ის ცხრილის ან მსგავსი მეთოდის გამოყენებით დამწვრობის ფართობის გამოთვლისას მიღებული შედეგების საფუძველზე.

მოცდის პერიოდი: არ ვრცელდება

გადარჩენის პერიოდი: 30 დღე.

10**თავის ტვინის ტრავმული დაზიანება - რაც იწვევს პერმანენტულ სიმპტომებს**

ტრავმული დაზიანების შედეგად ტვინის ქსოვილის კვდომა, რაც იწვევს სამუდამო ნევროლოგიურ დეფიციტს შეუქცევადი კლინიკური სიმტომებით.

მოცდის პერიოდი: არ ვრცელდება

გადარჩენის პერიოდი: არ ვრცელდება

11**თირკმლის უკმარისობა:**

ორივე თირკმლის შეუქცევადი, ბოლო სტადიის ქრონიკული დისფუნქცია, რომელიც იწვევს:

- გაზრდილ კრეატინინს სისხლში 7-10 mg%-მდე
- აზოტოვანი მეტაბოლიზმის პროდუქტების გამოყოფის დარღვევას
- წყალ-მარილოვანი, ოსმოტური, მჟავა-ტუტოვანი ბალანსის დარღვევას
- ჰიპერტენზიას;

რომელიც საჭიროებს:

- პერმანენტული ჰემოდიალიზის ჩატარებას
- პერიტონეალური დიალიზს

- ან თირკმლის ტრანსპლანტაციას.

დიაგნოზი დადასტურებული უნდა იქნეს კვალიფიციური ექიმის მიერ (ნეფროლოგი).

მოცდის პერიოდი: 6 თვე

გადარჩენის პერიოდი: 30 დღე.

12

სასიცოცხლო ორგანოების ტრანსპლანტაცია:

ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანოების გადანერგვა დადასტურებული უნდა იყოს სპეციალისტის მიერ:

- გული
- ფილტვი
- ღვიძლი
- თირკმელი
- პანკრეასი (მხოლოდ ლანგერანის უჯრედების ტრანსპლანტაცია არ ექვემდებარება დაფარვას)
- ძვლის ტვინი
- წვრილი ნაწლავი

დაფარვას არ ექვემდებარება:

- ორგანოების დონაცია
- სხვა ორგანოების, სხეულის ნაწილების ან ქსოვილის ტრანსპლანტაცია.

ტრანსპლანტაციის საჭიროება დადასტურებული უნდა იყოს კვალიფიციური ექიმის მიერ.

მოცდის პერიოდი: 6 თვე

გადარჩენის პერიოდი: 30 დღე.

13 ენცეფალიტი

თავის ტვინის (თავის ტვინის ჰემისფეროები, ტვინის ღერო ან ნათხემი) ბაქტერიული და ვირუსული ეტიოლოგიის ანთება, რომელიც დადასტურებულია სპეციალისტის მიერ და სპეციფიური გამოკვლევების შედეგებით (სისხლი და ცერებროსპინალური სითხე, ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია CT ან მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა MRI). ამასთან, დაავადების შედეგად უნდა ვლინდებოდეს სამი ან მეტი საბაზისო საყოფაცხოვრებო ქმედების დამოუკიდებლად შესრულების განგრძობადი დაკარგვა: დაბანვა (შხაპის ან აბაზანის დამოუკიდებლად მიღების უნარი), ჩაცმა (ტანსაცმლის დამოუკიდებლად ჩაცმა/გახდა, ღილების შეკვრა ან გახსნა), პირადი ჰიგიენა (ტუალეტის გამოყენება ჰიგიენის მიღებული ხარისხის დაცვით), მობილურობა (დამოუკიდებლად სახლში ან სართულზე გადაადგილების უნარი). ასევე, გამომყოფი ფუნქციების რეგულირების დაკარგვა, შიმშილის/წყურვილის შეგრძნების დაკარგვა. აღნიშნული დაავადების შედეგი შესაძლოა იყოს ლოგინად ჩავარდნა, სანოლიდან დაუხმარებლად ადგომის შეუძლებლობა. აღნიშნული მდგომარეობა დადასტურებული უნდა იყოს მინიმუმ 3 თვის ხანგრძლივობის სამედიცინო ჩანაწერებით.

მოცდის პერიოდი: არ ვრცელდება

გადარჩენის პერიოდი: 30 დღე.

14 პოლიომელიტი

პოლიო ვირუსის მწვავე ინფექციის შედეგად განვითარებული პარალიტიკური პოლიომელიტი, რომელიც მიმდინარეობს მოტორული ფუნქციების დარღვევითა და რესპირატორული უკმარისობით. საბოლოო დიაგნოზი დადასტურებული უნდა იყოს სპეციალისტის მიერ და პოლიო ვირუსის არსებობის დამადასტურებელი გამოკვლევების შედეგების საფუძველზე (მაგ. ექსკრემენტების ან ცერებროსპინალური სითხის გამოკვლევა, სისხლის გამოკვლევა სპეციფიურ ანტისხეულებზე). დაფარვას არ ექვემდებარება პოლიომელიტის ნებისმიერი ისეთი ფორმა, რომელიც გამორიცხავს დამბლის ჩამოყალიბებას. დაფარვას ასევე არ ექვემდებარება პოლიო ვირუსის გარდა ნებისმიერი სხვა მიზეზით გამოწვეული დამბლა.

მოცდის პერიოდი: არ ვრცელდება

გადარჩენის პერიოდი: 30 დღე.

15**სრული მუდმივი შრომისუნარობა:**

უბედური შემთხვევით გამოწვეული მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შრომისუნარობა - უშუალოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუნარიანობის დაკარგვის ისეთი ხარისხი, რომელიც კვალიფიცირებულია, როგორც მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობების შეზღუდვა იმ სამედიცინო დაწესებულების მიერ, რომელიც შერჩეულია შესაბამისი სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოს მიერ და რომელსაც მინიჭებული აქვს მოქალაქეთა შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლებამოსილება.

მოცდის პერიოდი: არ ვრცელდება**გადარჩენის პერიოდი: არ ვრცელდება****16****კომა (ასოცირებული პერმანენტული სიმპტომებით)**

უგონო მდგომარეობაში ყოფნა გარეგანი სტიმულების (გარეგან გამღიზიანებლებზე) ან შინაგანი საჭიროებების მიმართ რეაქციის გარეშე, რომელიც:

- საჭიროებს სასიცოცხლო ფუნქციების შემანარჩუნებელ სისტემებზე ყოფნას მინიმუმ 96 საათის განმავლობაში; და
- მიმდინარეობს მუდმივი ნევროლოგიური დეფიციტის ფონზე შეუქცევადი კლინიკური სიმპტომებით

დაფარვას არ ექვემდებარება:

- სამედიცინო მიზნით ინიცირებული კომა.
- ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალებების გადაჭარბებული მიღების თანმდევი კომა.

მოცდის პერიოდი: არ ვრცელდება**გადარჩენის პერიოდი: 30 დღე.**

შეტყობინება

შემთხვევის გაგებისთანავე დარეკეთ
აღდაგის სატელეფონო ცენტრში ნომერზე:

+995 32 2444 999